შპს „ხოშტარია 2“ – *404 589 147*
მისამართი: ქ. თბილისი,
ერისთავ-ხოშტარიას N2

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს “ხოშტარია 2“ (ს/ნ 404589147) წარმოდგენილი დირექტორის ეკა ბოკუჩავას (პ/ნ 01018000535) მიერ, შემდგომ “მარწმუნებელი” ამ მინდობოლობით უფლებამოსილებას ანიჭებს ქეთევან ფანცულაიას (დაბ 01.01.1979 წელს, პირადი N01008010269) შემდგომ “რწმუნებული” შემდეგზე:
რწმუნებული უფლებამოსულია იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, მდებარე: ქ. თბილისი, ქუჩა ერისთავ-ხოშტარია , N 2, ს/კ 01.15.02.037.014 სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით და ამ მიზნით მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, წარადგინოს განაცხადი და შესაბამისი დოკუმენტაცია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების პირობების დადგენის/გაცემის მიზნით, ასევე, შეათანხმოს არქიტექტურული პროექტი, მოიპოვოს მშენებლობის ნებართვა, მიიღოს მონაწილეობა მშენებლობის ნებართვის გაცემის (სამივე სტადია) მიზნით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, აღმოფხვრას ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ დადგენილი ხარვეზები, წარადგინოს და ჩაიბაროს საჭირო დოკუმენტაცია, შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, აწარმოოს მოლაპარაკებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მინდობილი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით შეაგროვოს ყველა სახის დოკუმენტაცია, მიიღოს და წარადგინოს ისინი მარწმუნებლის სახელით, შეიტანოს განცხადებები მიიღოს ინფორმაცია, მიიღოს გადაწყვეტილება, განახორციელოს არსებული დოკუმენტაციის კორექტირება, ხელი მოაწეროს დოკუმენტებს, მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტები/ცნობები/გადაწყვეტილებები/პროექტები/შეთანხმებები/ნებართვები, გადაიხადოს მომსახურების საფასური/მოსაკრებელი, ჩაატაროს ყველა ოპერაცია, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა ძალაში შედის **2026 წლის 03 ნოემბრიდან** და მოქმედებს ამავე დღიდან **ერთი წლის ვადით.**

შპს “ხოშტარია 2“
დირექტორი
ეკა ბოკუჩავა

საკონტაქტო ინფორმაცია: etavdgiridze@kh2.ge
+ 995 577 76 70 71